ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3782340

ნომერი: AR1568942

თარიღი : 08.01.2018

გაცემის თარიღი : 17.01.2018

გაცნობის თარიღი : 18.01.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N 19 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N 19 , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ანჯაფარიძე პ/ნ 01030028973
- თბილისი არსენას ქ. N 10/20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საკადასტრო გეგმაზე მონიშნული საპროექტო არეალი არ შეესაბამება "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" მონიშნულ საკადასტროს და წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის მიხედვით სარეკონსტრუქციო ღობე განთავსებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა ისარგებლოთ რუკის ცვლილების ღილაკით და "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" დამატებით მითითებულ იქნას საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი და წარმოდგენილ იქნას მისი მესაკუთრის შესაბამისი თანხმობა მიწის ნაკვეთზე განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, ასევე საჭიროა წარმოდგენილ იქნას #01.19.22.003.040 მიწის ნაკვეთზე სერვიტუტის საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში მოსარგებლის თანხმობა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.